

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №15

2016 წლის 20 აპრილი

ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევენის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევენის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესი.
2. ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილებები განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებმა (აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა) დანართი 1,2,3,4 შესაბამისად.
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევენითა საქმეების დეპარტამენტს ყოველკვარტალურად წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2012 წლის 3 თებერვლის №4 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევენის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“.
5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

ვ. ყოლბაია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევენის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევენის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებასთან და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები



ამ წესის თანახმად:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ის იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებასა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში (აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა) შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიები (შემგომში – კომისია).

3. კომისიები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 3. კომისიის უფლებები და მოვალეობები

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით კომისია უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს განმცხადებლისაგან (უფლებამოსილი პირი, კანონიერი წარმომადგენელი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირის განცხადება-ანკეტის შევსება;

ბ) მოითხოვოს განმცხადებლისაგან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1993 წლამდე ცხოვრების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი: დაბადების მოწმობა, ყოფილი სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტი, სამხედრო ბილეთი, მძღოლის მოწმობა, დიპლომი, ატესტატი, ქორწინების (განქორწინების) მოწმობა, საბინაო წიგნი და სხვა დოკუმენტების წარმოდგენა;

გ) მიიღოს/მოითხოვოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები პირების წერილობითი განმარტებები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მასალებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართოს შესაბამის ორგანოს;

ე) წერილობით დაადასტუროს ფოტოსურათზე გამოსახული პირის იდენტურობა (ფოტოიდენტურობა).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით, კომისიას პირადად მიმართავს დაინტერესებული ან/და უფლებამოსილი პირი (კანონიერი წარმომადგენელი) ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

3. პირის პირველად რეგისტრაციის შემთხვევაში, გარდა დაბადების რეგისტრაციის დროს არასრულწლოვანი პირის რეგისტრაციის შემთხვევისა, ასევე როცა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ მოიპოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ან რეგისტრაციის განხორციელების პროცესში შექმნილი ფოტოსურათიანი ჩანაწერი, ან ფოტოსურათის არსებობის მიუხედავად ვერ დგინდება პირის იდენტურობა განაცხადზე დართულ ფოტოსურათთან ხანდაზმულობის ან სხვა მიზეზის გამო, ფოტოსურათზე გამოსახული პირის იდენტურობა განაცხადში მითითებული პირის მონაცემებთან კომისიის თანდასწრებით შეიძლება წერილობით დაადასტუროს ნებისმიერმა სრულწლოვანმა პირმა (ფოტოიდენტურობის დადასტურება).

4. კომისია ვალდებულია დაინტერესებული ან/და უფლებამოსილი პირის (კანონიერი წარმომადგენელი) ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მომართვის შემთხვევაში საფუძვლიანად შეისწავლოს შემოსული განცხადება, არსებული ინფორმაცია და წარმოდგენილი მასალები.

5. კომისია უფლებამოსილია, მიღებული ინფორმაციისა და სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გააცნოს დაინტერესებულ პირს ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოს



მუხლი 4. კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი

1. კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. კომისია შედგება არანაკლებ 7 (შვიდი) წევრისაგან, კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

2. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3. კომისიის სხდომები იმართება ყოველი სამუშაო კვირის სამშაბათსა და ხუთშაბათ დღეს, საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს კომისიის რიგგარეშე სხდომა.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებასთან ან/და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენასთან დაკავშირებით კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადაა:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მომართვის შემთხვევაში, მომართვის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვე;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (საკონსულო დაწესებულება) მომართვის შემთხვევაში, მომართვის დღიდან 10 სამუშაო დღე;

გ) განმცხადებლის (უფლებამოსილი პირი, კანონიერი წარმომადგენელი) მომართვის შემთხვევაში, მომართვის დღიდან 7 სამუშაო დღე, თუ საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გაგრძელდეს 10 სამუშაო დღემდე ვადით, რაც უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირს;

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებასთან ან/და საცხოვრებელი ადგილის დადგენასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მომართვის შემთხვევაში, კომისია სათანადო პასუხს გასცემს ელექტრონული ფორმით ერთ სამუშაო დღეში.

6. არსებული გარემოებების შესწავლის, მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებისა და ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დაგროვილი მონაცემების საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაიცემა კომისიის დასკვნა/ცნობის სახით, შემდეგი რეკვიზიტებით:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე კომისიის დასკვნა/ცნობა (დანართი №1) უნდა შეიცავდეს:

ა.ა) სახელწოდებას;

ა.ბ) გაცემის თარიღსა და ადგილს;

ა.გ) პიროვნების სახელს, გვარსა და მამის სახელს;

ა.დ) პიროვნების დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე და წელი);

ა.ე) ინფორმაციას პიროვნების მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

ა.ვ) კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის წევრებისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებს;

ბ) ფოტოიდენტურობის წერილობითი დასტური (დანართი №2) უნდა შეიცავდეს:

ბ.ა) პიროვნების სახელს, გვარსა და მამის სახელს;

ბ.ბ) ფოტოსურათის ჩასაკრავ ადგილს;

ბ.გ) კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებს;

ბ.დ) შენიშვნას იმის თაობაზე, რომ დასტური ძალაშია მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე კომისიის დასკვნა/ცნობასთან ერთად;



ბ.ე) ფოტოიდენტურობის დამადასტურებელ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით, ამასთან, დოკუმენტზე დაკრულ ფოტოსურათზე ბეჭედი უნდა დაისვას იმგვარად, რომ ბეჭდის ნაწილი გადადიოდეს ფოტოსურათზე და დარღვეული არ იყოს ბეჭდის მთლიანობა.

7. მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის თანახმად, თუ კომისიის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ იძლევა დადებით შედეგს და არ არსებობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურების ან/და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, შესაბამისი დასკვნა/ცნობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. კომისიის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და კომისიის მუშაობის წესში ცვლილებების შეტანა

კომისიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, ასევე კომისიის მუშაობის წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის დასკვნა/ცნობა

(აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნისის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე)

№

ქ. -----

----- 201-წ.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მოპოვებული მასალების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად:

პიროვნების _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

დაბადებული _____

(რიცხვი, თვე, წელი)

მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულია _____

ცხოვრების წლები _____

კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი:

დანართი №2

კომისიის დასკვნა/ცნობა



№



ფოტოსურათის ადგილი

ბ. ა.

პიროვნების _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი:

შენიშვნა: კომისიის დასკვნა/ცნობა „ფოტოიდენტურობის წერილობითი დასტურის თაობაზე“ ძალაშია მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მქონე) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მქონე) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე“ დასკვნა/ცნობასთან ერთად.

დანართი №3

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მქონე) პირთა

განცხადება-ანკეტა

პირადი ინფორმაცია

- 1.1. სახელი, გვარი, მამის სახელი: -----
- 1.2. პირადი ნომერი: -----
- 1.3. (სახელის ან/და გვარის შეცვლის შემთხვევაში, თავდაპირველი სახელი ან/და გვარი) -----
- 1.4. დაბადების ადგილი და თარიღი -----
- 1.5. ოჯახური მდგომარეობა: -----
- 1.6. ქორწინების ადგილი და თარიღი -----
- 1.7. ოჯახის წევრთა (მათ შორის, თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირები) მონაცემები იძულებით გადაადგილებამდე:

სახელი, გვარი, ნათესაური კავშირი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, ამჟამინდელი ადგილსამყოფელი შენიშვნა



1.8. ოჯახის წევრთა (მათ შორის, თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირები) მონაცემები იძულებით გადაადგილების შემდგომ:

სახელი, გვარი, ნათესაური კავშირი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, ამჟამინდელი ადგილსამყოფელი შენიშვნა

1.9. განათლება, ----- (სასწავლებლის (სკოლა/ინსტიტუტი/) სრული დასახელება და მისამართი) -----

1.10. ინფორმაცია თანაკლასელების/თანაკურსელების შესახებ -----

2. ეწეოდით თუ არა შრომით საქმიანობას იძულებით გადაადგილებამდე:

2.1. დაწესებულების დასახელება და მისამართი -----

2.2. დაკავებული თანამდებობა -----

2.3. ინფორმაცია დირექტორის/უფროსის, ასევე თანამშრომლების შესახებ:

--

3. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე (ზუსტი მისამართი, გავრცელებული უბნის დასახელება, ცხოვრების წლები) -----

3.1. საცხოვრებელი ადგილის დატოვების თარიღი: -----

3.2. დეტალური ინფორმაცია რა ვითარებაში მოხდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება (მიუთითეთ კონკრეტულად ვისთან ერთად დატოვეთ აფხაზეთის ა/რ ტერიტორია (სახელი, გვარი, მისამართი, ტელ.) -----

3.3. ინფორმაცია მეზობლების შესახებ:-----

4. ინფორმაცია მოქალაქეობისა და მუდმივი რეგისტრაციის (ჩაწერა/ამოწერა) შესახებ:

4.1. ხართ თუ არა საქართველოს მოქალაქე, გაგაჩნიათ თუ არა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და/ან ორმაგი მოქალაქეობა-----

4.2. გაგაჩნიათ თუ არა სსრკ სიმბოლიკიანი პასპორტი, საბინაო წიგნაკი, შრომის წიგნაკი, სამხედრო ბილეთი ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1993 წლამდე ცხოვრება: -----

4.3. გთხოვთ მიუთითოთ სრულწლოვანი, ქმედუნარიანი, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები პირი (პირები), (მიუთითეთ სახელი, გვარი, მისამართი, ტელ.), რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაცია თქვენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით: -----

5. ამჟამინდელი დროებითი (დევნილად რეგისტრაციის/ფაქტობრივი) საცხოვრებელი ადგილი/მისამართი:-----

6. დამატებითი ინფორმაცია: -----

განმცხადებლის მოთხოვნა:-----

განმცხადებლის ხელმოწერა

თარიღი

